Let’s Learn Nihongo

აწსუ იაპონური ენისა და კულტურის მოყვარულთა ჯგუფი

პროექტის კოორდინატორი:
მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახური.

პროექტის მიზანი:

პროექტი მიზნად ისახავს ქალაქ ქუთაისში არსებული იაპონური კულტურისადმი ცნობიერების დონის ამაღლებას. კონკრეტულად კი, იაპონური ენის შესწავლით, კულტურისა თუ მითოლოგიის გაცნობით დაინტერესებულ პირთა ინტერესების დაკმაყოფილებას, განურჩევლად ასაკის, სტატუსისა და სქესისა.

პროექტის აღწერა:

დასავლეთ საქართველოში არსებული იაპონური ენისა და დამწერლობის სწავლების დეფიციტი თვალსაჩინო პრობლემაა, რომლის გადაწყვეტის პრევენციაც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ - ანიმეს მოყვარულთა კლუბის წევრებს შემდეგნაირად ესახებათ: ნებაყოფლობით შერჩეული 23 მოხალისე (სკოლის მოსწავლეები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები. ასაკი 15-35 წელი) მონაწილეობას იღებს „ექსპერიმენტში“, რაც გულისხმობს იაპონური ენის შესწავლას „ისწავლე და ასწავლე“ პრინციპით, რომლის ფორმატიც მოიცავს თითოეული მოხალისის მიერ წინასწარ გაკვეთილის მომზადებას, გათვითცნობიერებასა და სხვა დანარჩენისათვის მარტივად გადაცემას. მეცადინეობების წარმართვა სხვადასხვა მოსწავლეზე ნაწილდება, რაც ამცირებს დატვირთვას გაკვეთილის მომზადების პროცესში არსებულ სირთულეებთან დაკავშირებით. ექსპერიმენტი 2018 წლის 13 მარტიდან დაიწყო, სამუშაო ჯგუფის მიერ შედგენილი პროგრამისა და სათანადო სავარჯიშოების თავმოყრის შემდეგ. ამავე წლის ივნისის თვის დასასრულს, ჯგუფმა წარმატებით დაასრულა იაპონური დამწერლობის ორი სტილი - ჰირაგანა და კატაკანა, რასაც თან მოჰყვა დამწერლობის მესამე, ძირითადი, სტილის -კანჯის საფუძვლების სწავლება.
ჯგუფის საქმიანობის ორგანიზება, გარდა უნივერსიტეტის აუდიტორიებში შეხვედრისა, ხორციელდება facebook ჯგუფის დახმარებით, სახელწოდებით - “Let’s Learn Nihongo”, სადაც პერმანენტულად იტვირთება დოკუმენტები ყველა განვლილი მეცადინეობის ხელმისაწვდომობის მიზნით. ყველა სასწავლო დღე,

გარდა ენისა და დამწერლობის შესწავლისა, მოიცავს იაპონური კულტურის სპეციფიკური მახასიათებლების პრეზენტაციას, რაც მეტად საინტერესო და სახალისოა „ექსპერიმენტის“ მონაწილეთათვის.

ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დახმარებით, მოეწყო ვიზიტი სიღნაღის ეროვნულ მუზეუმში იაპონური კულტურის ექსპონატების გამოფენაზე და შემდგომ თბილისის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე გაშენებული იაპონური ბაღის დასათვალიერებლად. ამ ფაქტმა აამაღლა მოტივაცია იაპონური ენის სწავლის მსურველთათვის, რაც დადებითად აისახა მათ სწავლებაზე.

მიმდინარე ჯგუფის სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ, დაკომპლექტდება ახალი ჯგუფები, რომელშიც ჩართვის მსურველთა ოდენობაც ბევრად აღემატება პირველი „ექსპერიმენტული“ ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობას. პროექტში ჩართვის მსურველთათვის სააპლიკაციო ფორმის დოკუმენტი განთავსდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის facebook გვერდზე, ისევე, როგორც აღნიშნული პროექტისთვის შექმნილ facebook ჯგუფში, არაუადრეს 2018 წლის სექტემბრისა და არაუგვიანეს ამავე წლის ოქტომბრისა.

დამატებითი ინფორმაციისთვის:

https://www.facebook.com/groups/955074024659921/

ტელ: 591 11 56 53